ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 27

ქ. საჩხერე

2.03.2018წ

ერთის მხრივ, სს "საჩხერეგაზი"(239403392) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზაზო ზაბახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი ნათება" (202066156) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თ. არდოტელის სახით,ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ს/ს „საჩხერეგაზის" სახსრებით საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის კლასის 31500000 კოდით გათვალისწინებული საქონელი, კერძოდ:

1) ნათურა გამჭირვალე PHILIPS - 30 ცალი -40.5 ლარი

ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 40.5(ორმოცი და 50) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, მხარეთა შეთანხმების გარეშე.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს.

6. მხარეების უფლებები და მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1 შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 წერილობით ან სიტყვიერად აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;

6.2.2 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ აღნიშნული ფასების შესაბამისად.

6.2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ საქონლის ინსპექტირების პროცესში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს აღნიშნული ფასების შესაბამისად;

6.4.2 გახილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
6.4.3 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ;
6.4.4 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 7.1 ხელშეკულების ინპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ მიზნით სს "საჩხერეგაზის" მიერ გამოყოფილი პირი (სს-ის საექსპლუატაციო და საწარმოო ტექნიკური სამსახურის უფროსი) – ანტონ შუბითიძე..
7.2 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით ან სიტყვიერად აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.
7.3 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ისპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლისა და ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის წევრების ხელისმოწერით.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
10.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10(ათი)სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
12.2 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.
13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან სიტყვიერად.შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია მოსწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

15.2 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით. საქონლის შესყიდვა განხორციელდება ქ. თბილისი-ში.

17. ფორს–მაჟორი

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

18. სხვა დებულებები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. ინტერესთა კონფლიქტი

19.1 ს/ს საჩხერეგაზსა და შპს „ ახალი ნათება" -ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება №27 არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სს „საჩხერეგაზი"	შპს „ახალი ნათება"
ს/კ 239403392	ს/კ 202066156
მის: ქ. საჩხერე 4000, თამარ მეფის ჩიხი №8	ქ.თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზ. 25ა
მომსახურე ბანკის დასახელება:	
სს„ ლიბერთი ბანკის საჩხერის ფილიალი"	სს„ პროკრედიტ ბანკი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIGBGE22
ანგარიშის № GE80LB0114168409456000	ანგარიშის № GE74PC0053600100013179
---	---
ზაზო ზაბახიძე	თ. არდოტელი
გენერალური დირექტორი	აღმასრულებელი დირექტორი

საქონლის და მომსახურეობის მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 2 მარტი 2018წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ახალი ნათება“ წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თ. არდოტელის სახით და მეორეს მხრივ სს „საჩხერგაზის"-სს- ის საექსპლუატაციო და საწარმოო ტექნიკური სამსახურის უფროსი ანტონ შუბითიძე, ვმოქმედებთ, რა მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის 2018 წლის 2 მარტს დადებული , კლასიფიკატორის კლასის 31500000 კოდის №27 ხელშეკრულების საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შესყიდველმა მიიღო 40,5 (ორმოცი და 50) ლარის საქონელი, კერძოდ:

1) ნათურა გამჭირვალე PHILIPS - 30 ცალი -40.5 ლარი

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელისმოწერით

ჩააბარა:

/თ. არდოტელი/

ჩაიბარა

/ა. შუბითიძე/